არჩევნები 2017

# სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური განწყობების მონიტორინგი წინასაარჩევნო დისკურსში



MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDADTION

unag
UN Association of Georgia

ავტორები:
თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, გიორგი რევიშვილი

მედია მონიტორინგი:
სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე, თამარ გაგნიაშვილი.

PITA-ს ახალგაზრდული რეგიონული ცენტრების მონიტორები:
ბაბკენ აბაჯიანი, ვარო გაბრელიან, ვიქტორია ეგიანი, ლილი ზაზაძე, დავით ჟორჟოლიანი, გიორგი ბოლქვაძე, ლუკა ზედაშიძე, ირაკლი იაგორაშვილი.

დიზაინი:
მარიამ ცუცქირიძე

ანგარიში “სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განწყობების მონიტორინგი წინასაარჩევნო დისკურსში” მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებუ- ლი შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

# სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური განწყობების **მონიტორინგი წინასაარჩევნო დისკურსში**

1 სექტემბერი -7 ოქტომბერი

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს მედიის განვითარების ფონდის (MDF) და გაეროს ასოციაციის (UNAG) PITA-ს ახალგაზრდული 7 რეგიონული ცენტრის მიერ 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ, ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგებს. დაკვირვების საგანი იყო სიძულვილის ენა, ქსენოფობიური გამოხატვა და ანტიდასავლური განცხადებები, რომლებსაც პოლიტიკური სუბიექტები და მედია ავრცელებდნენ.

ადგილობრივი არჩევნების სპეციფიკის გათვალისწინებით, მონიტორინგის ფარგლებში შერჩეული ეროვნული დაფარვის ტელევიზიების, გაზეთების, ასევე ონლაინ გამოცემების გარდა, დაკვრივება ადგილობრივ მედია საშუალებებზე და რეგიონული პოლიტიკური სუბიექტების ფეისბუკ გვერდებზეც მოხდა.

მონიტორინგი საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა" ფარგლებში განხორციელდა.

## მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს, როგორც რაოდენობრივ მონაცემებს, ასევე თვისობრივ ნაწილსაც. რაოდენობრივი მონაცემები ასახავს სიძულვილის ენის, ქსენოფობიის, თურქოფობიის, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ჰომოფობიის, გენდერული სტერეოტიპებისა და ანტიდასავლური გზავნილების შემთხვევებს წყაროების მიხედვით. თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია და მთავარი ნარატივები, რომელთაც სხვადასხვა წყაროები ავრცელებენ.

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია:

- 4 ტელევიზიის საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვება: საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე), რუსთავი 2 (კურიერი, P.S), მაესტრო (კონტაქტი) იმედი (ქრონიკა, იმედის კვირა);
- 4 ტელევიზიის თოქ-შოუ: მაესტრო (ცეცხლის ხაზი), იბერია (ცენზურის გარეშე[1]), კავკასია (ბარიერი სპექტრი), ობიექტივი (ღამის სტუდია, ოქროს კვეთა);
- 2 ტელევიზიის სპეციალური წინაასაარჩევნო გადაცემა: იმედი (ამომრჩევლის პირისპირ), საზოგადოებრივი მაუწყებელი (თვითმმართველობა 2017);
- 5 ონლაინ გამოცემა: საქინფორმი, ნეტგაზეთი, საქართველო და მსოფლიო PIA, ინტერპრესნიუსი;
- 4 გაზეთი: რეზონანსი, ასავალ დასავალი, ალია, პრაიმ-ტაიმი;
- გარდა მონიტორინგის რეგულარული სუბიექტებისა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ანგარიშში მოხვდა პოლიტიკოსთა დისკრიმინაციული განცხადება სხვა მედია საშუალებებიდან.

**რეგიონული სუბიექტები.** რეგიონული მონიტორინგის შემთხვევაში დაკვირვების სუბიექტი პოლიტიკოსები იყვნენ, რისთვისაც შემდეგი მედია საშუალებები შეირჩა:

- ქუთაისი: ტვ რიონი, ონლაინ გამოცემა Kutaisitoday;
- ბათუმი: 25-ე არხი, გაზეთი “აჭარა PS”;
- ახალციხე: მე-9 არხი, გაზეთი “სამხრეთის კარიბჭე”;
- ახალქალაქი: jnews.ge, nor.ge, parvana.ge;
- გორი: ტვ “თრიალეთი”;
- თელავი: ტვ “თანამგზავრი”, ტვ “დია”, ონლაინ გამოცემა “კახეთი ხმა”;
- გურჯაანი: გურჯაანიTV.

აღნიშნული მედია საშუალებების გარდა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დაკვირვება სოციალურ მედიაში პოლიტიკური სუბიექტების ფეისბუქ გვერდებზე ხდებოდა.

მონიტორინგი 1 სექტემბრიდან - 7 ოქტომბრამდე განხორციელდა.

## ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (1 სექტემბერი - 7 ოქტომბერი) პოლიტიკური პარტიებისა და მედიის წარმომადგენელთა 270 კომენტარიდან ნახევარზე მეტი (139) ანდტიდასავლური შინაარსის იყო. შემდეგ ადგილზეა ქსენოფობია სხვადასხვა ჯგუფების მიმართ (47), რასაც თურქოფობიული (41), ჰომოფობიური (32), გენდერული სტერეოტიპების შემცველი (8), რასისტული (2) და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული (1) განცხადებები მოსდევს.

[1] ტვ “იბერიის” თოქ-შოუ მონიტორინგს 1 ოქტომბრიდან დაემატა.




| | |
|---|---|
| ანტიდასავლური განწყობები | 139 |
| ქსენოფობია | 47 |
| თურქოფობია / ისლამოფობია | 41 |
| ჰომოფობია | 32 |
| გენდერული სტერეოტიპები | 8 |
| რასიზმი | 2 |
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 1 |

უმეტესი კომენტარების წყარო მედია საშუალებების წარმომადგენლები (164) იყვნენ, ხოლო დანარჩენი 106-ის შემთხვევაში პოლიტიკოსები.

# პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური სუბიექტებიდან ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი და დისკრიმინაციური განცხადება პატრიოტთა ალიანსმა (54) გააკეთა, რომელსაც გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა მოსდევს (25). ამ უკანასკნელი პარტიის მონაცემებში თავისუფალი საქართველოს მონაცემებიც არის გაერთიანებული, ვინაიდან თბილისის მერობის არჩევნებში ეს 2 სუბიექტი ერთიანი საარჩევნო ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო" სახელით მონაწილეობს. შემდეგ ადგილზეა მოძრაობა "ეროვნულები" (7), რომელიც "ქართველთა მარშთან" არის დაკავშირებული. მმართველი პარტიის "ქართული ოცნების" შემთხვევაში 5 დისკრიმინაციული კომენტარი გაკეთდა, ლეიბორისტული პარტიის - 4, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის - 1. სხვადასხვაში არიან გაერთიანებული ჩვენი სამშობლო (3), ნეიტრალური სოციალისტური საქართველო (2), ქართული დასი (2), მემარცხენე ალიანსი (2).



## პატრიოტთა ალიანსი

ანტიდასავლური განწყობები. პატრიოტთა ალინსის წარმომადგენელთა განცხადებები უმეტესობა ანტიდასვლური შინაარსის იყო (21) და ძირითადად რუსეთთან მოლაპარაკებების აუცილებლობას, საქართველოს ტერიტორიული პრობლემების ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატში განხილვას შეეხებოდა. ამავე დროს აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ დასავლეთი უძლურია, დაიცვას საქართველოს ინტერესები, ხოლო ნატოს წევრი თურქეთიც კი რუსეთთან სამხედრო-შეიარაღების სფეროში თანამშრომლობს:



**დავით თარხან-მოურავი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** „მოსკოვი აღიქვამს ნატოს, როგორც მტერს. მოსკოვი დარწმუნებულია, რომ ნატოს სურს თავს დაესხას რუსეთს... მთავარია, რუსები რას ფიქრობენ, ისინი ფიქრობენ, რომ ნატო აპირებს მათზე თავდასხმას... და ისინი თვლიან, რომ საქართველოს ტერიტორიაც ნატოს უნდა, რომ თავს დაესხას რუსეთს. და აქ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და უნდა ვუთხრათ გარანტირებულად, რომ და ეს ქმნის უზარმაზარ დაძაბულობას ჩვენს და რუსეთს შორის... ყველას ვისაც დიპლომატიასთან შეხება აქვს, იცის, რომ ნატო ჩვენ მაგის გამო არასოდეს არ მიგვიღებს სულ ესაა პრობლემა “.

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 14 სექტემბერი**



**გიგი მაღლაკელიძე, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "აღარ იქნება აღარც აფხაზეთი და ცხინვალი დღის წესრიგში იმ პოლიტიკით და იმ სტატუსკვოთი, რაც არი. ჩვენ გვექნება უკიდურესი შეშფოთება და აღშფოთება ევროპიდან და ევროპული ქვეყნებიდან... თურქეთი არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნატოს წევრი ქვეყანა... და თურქეთმა რამოდენიმე დღის უკან შეიძინა რუსეთიდან სარაკეტო საშუალებები, საჰაერო სარაკეტო საშუალებები... ეს არი პრაქტიკულად გარღვევა ნატოს ფრონტზე".

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 16 სექტემბერი**

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი საქართველოს ტერორიტიული მთლიანობის დარღვევაში, კერძოდ კოდორის ხეობის დაკარგვაში წინა ხელისუფლებასთან ერთად გაეროს და აშშ-ს ადანაშაულებდა და უკრაინაში იგივე აქტორების მიერ ანალოგიური სცენარის განვითარებაზე საუბრობდა:



**ემზარ კვიციანი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "გაეროს ჰყავს თავისი უშიშროების საბჭო და დაზვერვა. აი, იმ დაზვერვის ხალხმა [მიხეილ] სააკაშვილს ხელი შეუწყო, რომ 2006 წელს კოდორში ის სპექტაკლი დაედგა _ ჯერ ჯარი შემოიყვანა, მერე გაასხვისა. ამ დიდ ავანტიურაში გაეროსთან ერთად რუსეთი და ამერიკაც მონაწილეობდნენ. ახლა იგივე ძალებმა ის უკრაინაში შეიყვანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ იქაც რაღაცას გეგმავენ".

**მარშალპრესი, 21 სექტემბერი**

ხდებოდა ევროინტეგრაციის მიგრანტების მიღების ვალდებულებასთან დაკავშირება და საფრთხესთან გაიგივება:



**გიგი მაღლაკელიძე, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "ევროინტეგრაცია არ ნიშნავს, რომ შენი ტერიტორია არაბებს, ინდოელებს და პაკისტანელებს და თუნდაც სირიელებს და თუნდაც... ვინც დაანთო ეს კოცონი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კეთილი ინებონ და იმათმა აგონ პასუხი და თავის ქვეყანაში რამდენი ადამიანიც უნდა მიიღონ და საქართველო არ ჩაითრიონ"...

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 16 სექტემბერი**

რაც შეეხება რეგიონულ კანდიდატებს, მონიტორინგის პერიოდში კატალონიაში მიმდინარე მოვლენების დროს ესპანეთის სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოყენებასთან დაკავშირებით პატრიოტთა ალიანსის ქუთაისის კახიანოურის ოლქის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბადრი ფორჩხიძე საკუთარ ფეისბუკ გვერდზე სიძულვილის ენის შემცველ კომენტარს აკეთებდა:



**ბადრი ფორჩხიძე, პატრიოტთა ალიანსი:** "ვინც კიდევ ამის მერე ევროპულ დემოკრატიაზე კრინტს დაძრავს, სარი უნდა ჩათხარო პირში!"




ქსენოფობია. ქსენოფობიური განცხადებები (14) ძირითადად მიწის უცხოელებზე გასხვისების შეზღუდვას, ასევე მიგრანტების მიღებას და შედეგად ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხეს უკავშირდებოდა. ორივე შემთხვევაში აქცენტი აზიური და აფრიკული წარმომავლობის უცხოელებზე კეთდებოდა:



**დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "ერთია, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მიიღო ქვეყანამ ლტოლვილის სახით, ემიგრანტის სახით. სირიიდან თუ სხვა ესეთი ცხელი რეგიონებიდან, რაც არ უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას. მალავს ამას არ ახმაურებს, მაგრამ გაიხედე ქალაქ თბილისში სადაც გინდა და ას მეტრს ვერ დაინახავ, რომ იქ არ იყოს ლტოლვილი, რომელიც ნათლად ჩანს, რომ არის უკვე დამკვიდრებული".

**ობიექტივი, ღამის სტუდია 2 სექტემბერი**



**თენგიზ თავდგირიძე, პატრიოტთა ალიანსის ბათუმის მერობის კანდიდატი:** „წერილი გვქონდა გაგზავნილი ხელისუფლებაში, სადაც ვითხოვდით რამოდენიმე ადრინდელი პარლამენტის მხრიდან მიღებული კანონების გაუქმებას, ეს ეხებოდა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, კანონს რელიგიის შესახებ, კანონს განათლების შესახებ, კანონს მოქალაქეობის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მოქალაქეობის მიღების შესახებ, კანონი ამავე დროს მიწის, ქართული მიწა-წყალის საძოვრების ტყეების პარკების ზღვის სანაპირო ზოლის, მდინარეების, ღორღოს გასხვისებისა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რის წინააღმდეგიც ჩვენ ვართ. და არაერთხელ დაგვიფიქსირებია ეს...“

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 სექტემბერი**

თურქოფობია. თურქოფობიული განცხადებები (13) ამკვიდრებდა აზრს, რომ თურქეთი აჭარაში ექსპანსიას ახორციელებს, ყარსის ხელშეკრულება საფრთხეებს შეიცავს და რომ თურქეთიდან მომავალი საფრთხის შემაკავებელი მხოდლოდ რუსეთია. ამასთანავე პატრიოტთა ალიანსის წევრები ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს ისტორიულ ოკუპაციასა და რუსეთის მიერ საქართველოს დღევანდელ ოკუპაციას შორის ტოლობის ნიშანს სვამდნენ და ამკვიდრებდნენ აზრს, რომ თუ რუსეთია ოკუპანტი, თურქეთიც ოკუპანტია:



**დავით თარხან-მოურავი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "მინდა გითხრათ, რომ ბათუმი და აჭარა, ჩვენ ამას ვამბობთ 20 წელი, კაცო, არის ფრონტის ხაზი. ბათუმი არი ის ქალაქი, სადაც პირდაპირი ექსპანსია ხორციელდება საქართველოს თურქეთის მხრიდან”.

**იმედი, ამომრჩევლის პირისპირ, 12 სექტემბერი**



**ვაჟა ოთარაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი:** "მე არ მინდა, გავიხსენო ყარსის ხელშეკრულება, რომლის მე-5 მუხლშიც ძალიან სახიფათო სიტყვებია ჩაწერილი და ხშირად გაგვიმეორებია, ჩვენ ეს რომ აჭარის მომავალ ბედს გადწყვეტს აჭარის მოსახლეობა… აჭარაში რა ხდება და კიდე თურქეთს ეშინია რუსეთის, კიდე".

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 სექტემბერი**

**ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „ტაო-კლარჯეთი ჩვენი იყო. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, თუ რუსეთს აქვს მიტაცებული საქართველოს ტერიტორიების 22%-ზე მეტი, თურქეთს აქვს მიტაცებული 32%-ზე მეტი

საქართველოს ტერიტორიების. ერთი საუკუნე არ არის გასული რაც თურქეთმა წაგვართვა ეს ტერიტორიები, ესეიგი თურქეთი აღარ არის აგრესორი?“

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 სექტემბერი**

ჰომოფობია. ჰომოფობიური კომენტარები (5) ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად წარმოჩენას, რუსთავი 2-ის მიერ ლგბტ პირთა მონაწილეობით გადაცემის მომზადებას და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას შეეხებოდა.



**თენგიზ თავდგირიძე, პატრიოტთა ალიანსის ბათუმის ბერობის კანდიდატი:** "ეს კანონი ეხება სექსუალურ უმცირესობებს, ასევე ამისგან დაზღვეული არავინ არის, რომ ოჯახში ასეთი კატეგორიის ადამიანი გაჩნდეს. რამდენი ადამიანი ყოფილა, რომელიც ასეთი ყოფილა და თავისი ფიზიკური მანკი არ დაუფიქსირებია საჯაროდ, საფლავში ჩაიყოლა.... მანკია, ადამიანური დეფექტია. ყველას უნდა, რომ ჯანმრთელი შვილი ჰყავდეს და ეს ნორმალურია... არაა გამორიცხული, რომ ეს დეფექტურობა თანდაყოლილი იყოს და მკურნალობას არ ექვემდებარებოდეს.“

**ალია, 2-8 ოქტომბერი**

გენდერული სტერეოტიპები. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის 1 შემთხვევა ოჯახში ქალის და მამაკაცის როლების ტრადიციულ გაგებას და კვოტირების სისტემას შეეხებოდა.



**ემზარ კვიციანი, პატრიოტთა ალიანსი:** შეიძლება, რომ პარტიაში ქალი იძულებით მოგაყვანინონ?! ... საქართველოში 240 პარტიაა და პარტიული სია 150 ადამიანით დაკომპლექტებული რომ იყოს, სადაც ნახევარი ქალი იქნება, ბავშვებს ვინ გაზრდის?!“

**ინტერპრესნიუსი, 13 სექტემბერი, ალია, 18-24 სექტემბერი**

## გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა/თავისუფალი საქართველო

ანტიდასავლური განწყობები. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა ანტიდასავლური გზავნილები (12) შეეხებოდა როგორც დასავლეთის მიერ ჰომოსექსუალობის ლეგალიზების, ასევე მიგრანტების მიღების ვალდებულებასა და იდენტობის დაკარგვის საფრთხეს, ასევე ახდენდა სკეპტიციზმის დანერგვას, რომ ნატოს და ამერიკას საქართველოს დაცვა არ შეუძლიათ. ამასთანავე საფრთხედ იყო წარმოჩენილი ამერიკელების მონაწილეობით საქართველოში ჩატარებული სამხედრო წვრთნები:



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა**: "ერთსქესიანთა პარტნიორული სამოქალაქო ურთიერთობების ამსახველი საკანონმდებლო ნორმაზე დაიწყო მუშაობა, სწორედ, ამ ევროპული კომისიის [ECRI] მოთხოვნის საფუძველზე და ესენი აპირებენ ძალიან მალე ამის მიღებას".

**მაესტრო, ცეცხლის ხაზი, 20 სექტემბერი**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „ევროკავშირი რამდენიმე წელია, არაბი მოქალაქეების მიღებას აიძულებს პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთსა თუ სლოვაკეთს, მაგრამ უშედეგოდ! ამ ქვეყნების ხელისუფალნი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის დირექტივებს და ღიად აცხადებენ, ჩვენ არ გვჭირდება ისლამიზაციაო!"

**ასავალ-დასავალი, 18-24 სექტემბერი**



**ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** " ჩვენ აკვიატებული გვაქვს ის, რომ ნატო და ამერიკა გადაგვარჩენს და ისინი მოაგვარებენ ჩვენს პრობლემებს და ჩვენ არ ველაპარაკებით იმ ქვეყანას, რომელსაც რეალურად შეუძლია ან ესე ვთქვათ, წვლილი შეიტანოს ქართული სოფლის პირისაგან მიწისა აღგვის საქმეში, ან შეაჩეროს ეს პროცესი".

**მაესტრო, ცეცხლის ხაზი, 23 სექტემბერი**

**ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „...როგორ შეაფასებდა იგი საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებულ უკანასკნელ საწვრთნელ მოქმედებას, რომლის დროსაც ამერიკული ჯავშანტექნიკა ამერიკული დროშებით საჩვენებლად დადიოდა ქვეყნის უმთავრეს მაგისტრალზე. გაუჩენდა თუ არა ეს ყველაფერი ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებს არასტაბილურობისა და საფრთხის განცდას".

**ინტერპრესნიუსი, 13 სექტემბერი**

თურქოფობია / ისლამოფობია (3). ადგილობრივ არჩევნებზე გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისა და თავისუფალი საქართველოს ერთიანი ბლოკის[2] საარჩევნო კამპანია ისლამოფობიურ და ანტიმიგრანტულ, ანტილიბერალურ განწყობებს აღვივებდა. კამპანიის მიზანი საჯარო ადგილებში ჩადრების აკრძალვა იყო, ამასთანავე მიგრაციის პროცესი საქართველოს ისლამიზაციასთან იყო დაკავშირებული:

---

[2] დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა -დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო



**დიმიტრი ლორთქიფანიძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** ” საქართველოში კი მიმდინარეობს „დიდი ჩამოსახლება“! ეს არის საქართველოს ისლამიზაციის მუხანათური გეგმა!”

ᲰᲝᲛᲝᲤᲝᲑᲘᲐ. ჰომოფობიური კომენტარები (4) მეტწილად რესპუბლიკური პარტიის მიერ თბილისის საკრებულოს საარჩევნო სიაში ლგბტ აქტივისტის წარდგენას შეეხებოდა.

## ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲔᲑᲘ

მოძრაობა “ეროვნულები” ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობს, თუმცა მისი ლიდერი ექსტრემისულ მოძრაობა “ქართველთა მარშთან” არის დაკავშირებული. აღნიშნული პარტია ძირითადად ქსენოფობიას (4) მიგრანტთა და ისლამური იდენტობის პირთა მიმართ აღვივებდა:



**სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები:** „...რამდენიმე წელიწადში კი სამეგრელოსა და გურიაში ეთნიკურ უმრავლესობად ჩინელები მოგვევლინებიან! მთელ საქართველოს მოვუწოდებ აღდგეს ამის წინააღმდეგ!“

“თბილისი ჩალმიანმა და ჩადრიანმა უცხოელებმა წალეკეს.”

**ასავალ-დასავალი, 18-24 სექტემბერი**

პარტიის ლიდერის სანდრო ბრეგაძის განცხადებები ასევე მიმართული იყო საქართველოში ჯორჯ სოროსის საქმიანობის წინააღმდეგ.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲥᲡᲔᲜᲝᲤᲝᲑᲘᲐ. მმართველი პოლიტიკური პარტიის, “ქართული ოცნების” თბილისის მერობის კანდიდატმა, მონიტორინგის პერიოდში ქსენოფობიურ კონტექსტში ერთი განცხადება გააკეთა, რომელიც აღმაშენებლის გამზირის იერის დაკარგვას და იქ ქართული იდენტობის კვალის გაქრობას შეეხებოდა. აღნიშნული ადგილი ხშირად გამოიყენება ნაციონალისტური ჯგუფების რიტორიკაში, როგორც სიმბოლო აზიური წარმოშობის უცხოელების მიერ “მიტაცებული” ადგილისა.



**კახა კალაძე, ქართული ოცნება:** "ავიღოთ აღმაშენებლის გამზირი, სადაც ახალი სიცოცხლე შემოვიდა, გაივლით, ქართულის გარდა შეიძლება ყველა ენაზე ნახოთ წარწერები, რაც კატეგორიულად მიუღებელია, მე არავის არ ვერჩი, მაგრამ ქართული ანბანი და ქართული ასოები იქნება პრიორიტეტი და სათანადოდ იქნება დაცული".

**მარშალპრესი, 10 სექტემბერი**

თურქობია. მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი ასევე ამკვიდრებდა აზრს, რომ ბათუმი მეზობელი სახელმწიფოს თურქეთის საკუთრებაა.



**ბექა სივსივაძე, ქართული ოცნება:** "თურქები მასპინძლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე სტუმრებს. მგონი, მთელი ბათუმი იყიდეს უკვე…", შეგვიძლია, ქართველ კაცებს შევუძახოთ, რომ ფრთხილად იყვნენ, რადგან პლაჟზე გასულ მათ ქალებს შეიძლება თურქმა უჩქმიტოს…"

**ნეტგაზეთი, 28 სექტემბერი**

ჰომოფობია. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც ჩანს, რომ ქართული ოცნების თბილისის საკრებულოს წევრი ჯაბა ჯიშკარიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ წევრს მიმართავს და პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ ჰომოფობიური შინაარსის კომენტარს აკეთებს.



**ჯაბა ჯიშკარიანი:** "ზაალ უდუმაშვილს მიხედე, სქესი რომ ვერ გაურკვევია კაცია თუ ქალი[3]".

**eurus.ge, 29 სექტემბერი**

გენდერული სტერეოტიპები. მმართველი პარტიის მხრიდან გაკეთდა 2 კომენტარი, რომელიც გენდერუული სტერეოტიპების გაღრმავებას უწყობდა ხელს:

[3] http://eurus.ge/index.php?act=new_view&id=4958



**გუგული მაღრაძე, ქართული ოცნება:** "ჩვენ იძულებული ვართ, ანგარიში გავუწიოთ კონკურენციას. რადგან სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც ძირითადად მამაკაცები ჰყავთ წარმოდგენილი, ამ კონკურენციაში არ გვინდა, ჩვენი კანდიდატები დაგვეჩაგრონ, ამიტომ ვცდილობთ, ისეთი მამაკაცები შევარჩიოთ, რომლებსაც მოგების უფრო მეტი შანსი ექნებათ".

**რეზონანსი, 9 სექტემბერი**

## ლეიბორისტული პარტია

ისლამოფობია. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან 2 ისლამოფობიური კომენტარი გაკეთდა, რომელთაგან ერთ-ერთში ისლამის ტერორიზმთან და კრიმინალთან დაკავშირება ხდებოდა:



**ჯელალ ქიქავა, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ბათუმის მერობის კანდიდატი:** "არასწორი გზით მიდიან ისინი, აი, მუსლიმთა კავშირი, მინდა ვუთხრა მათ, ისინი მიდიან კონფრონტრაციაზე, ისინი აშინებენ საზოგადოებას, თავისი ქმედებით, მე ვგულისხმობ, აი, ჩვენ ამას აქ ავაშენებთ, ჩვენ ამას ასე ვიზამთ, ჩართეთ ტელევიზორი და ნახეთ, მუსლიმმა წავიდა ააფეთქა რაღაც ავტომანქანა, მუსლიმი წავიდა დანით დაჩეხა... არა, არა, მე გეუბნებით ფაქტებს უბრალოდ კაცო, რას ქვია გაიგივება, მე გეუბნებით კიდევ ერთჯერ, რაც არის. ხო რეალურად, ირინა, სწორია აბსოლიტურად, მე გეუბნებით იმას, რასაც ტელევიზორში ვხედავ".

**აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,, "ახალი სივრცე", 4 ოქტომბერი**

რასიზმი. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა რასისტული განცხადება პოლიტიკური ოპონირების კონტექსტში გააკეთა:



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:** "ივანიშვილს რომ შეხედავს უცხოელი, რას იფიქრებს, რომელი რასის წარმომადგენლები ვართ: აფრიკანული, ყვითელი რასის წარმომადგენლები თუ რაღაცა შერეული ნეგროიდული და რაღაცა სხვადასხვა რასის. კაცს არ ეტყობა რასობრივი კუთვნილება".

**TV პირველი, "რეაქცია", 19 სექტემბერი**

ნაციონალური მოძრაობა

ჰომოფობია. ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის ქალაქ-მუზეუმის ოლქის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ნიკოლოზ ნარსიამ ჰომოფობიური კომენტარი 30 სექტემბერს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გააკეთა:



**ნიკოლოზ ნარსია, ნაციონალური მოძრაობა:** "ივანიშვილს ვაითუ გადახრები აქვს მერე ხართ ცოდვა ... მერე ნახეთ ქართველობის წართმევა უკნიდან".




სხვადასხვა

სხვადასხვაში გაერთიანებული პარტიები ნეიტრალურ-სოციალისტური საქართველო, რომლის ლიდერი ტვ "ობიექტივის" თოქ-შოუს წამყვანია, ასევე მემარცხენე ალიანსი ძირითადად ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებდნენ. ქართული დასის და ჩვენი სამშობლოს შემთხვევაში კი თურქოფობიული კომენტარები გამოიკვეთა.

# II. მედია

რაოდენობრივი მონაცემები. მედია საშუალებების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული 164 კომენტარიდან ყველაზე მეტი (99) ანტიდასავლური შინაარსის იყო და როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, მათი უმეტესობა ონლაინ გამოცემა "საქართველო და მსოფლიოზე" (52) მოდის, რომელსაც მოსდევს ონლაინ გამოცემა "საქინფორმი" (23), ტვ "ობიექტივი" (16), გაზეთი "ასავალ-დასავალი" (7).

ქსენოფობიური განცხადებებიდან (22) ყველაზე მეტის წყარო გაზეთი "ასავალ-დასავალი" (7) იყო, რომელსაც თანაბრად მოსდევს ტვ "ობიექტივი"(6) და ონლაინ გამოცემა

“საქართველო და მსოფლიო” (6). ქსენოფობიას ასევე ვხვდებით “საქინფორმსა”(2) და გაზეთ “ალიაში” (1).

მედიის ჰომოფობიური კომენტარებიდან (19) ყველაზე მეტი “საქართველო და მსოფლიოს” ავტორებს ეკუთვნით (12), ჰომოფობიას ასევე ვხვდებით გაზეთ “ასავალ-დასავალში” (5), “საქინფორმსა” (1) და “ალიაში” (1).

მედიის თურქოფობიული/ისლამოფობიური კომენტარების (18) ყველაზე მეტი წილი პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებულ ტვ “ობიექტივზე” (8) მოდის. თურქუფობიულ/ისლამფობიურ ნარატივს ვხვდებით ასევე “საქართველო და მსოფლიოში”(5), “საქინფორმში” (3), “ასავალ-დასავალსა” (1) და ტვ “კავკასიაში” (1).

გენდერულ სტერეოტიპებს “საქართველო და მსოფლიოს” (2), გაზეთების “ასავალ-დასავალის” (1) და “პრაიმ ტაიმის” (1) შემთხვევაში ვხვდებით.

რასობრივი კომენტარი (1), ასევე რელიგიური ნიშნით დისკირმინაცია (1) “საქართველო და მსოფლიომ” გამოაქვეყნა.




**თვისებრივი მონაცემები.** გზავნილები, რომელთაც მონიტორინგის სუბიექტი მედია საშუალებები ავრცელებდნენ, პოლიტიკოსთა იდენტური იყო და ანტიმიგრანტულ განწყობებს, მიწის უცხოელებზე გაყიდვის მიზანშეუწონლობას, იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს და დასავლეთთან შედარებით რუსეთის უპირატესობის წარმოჩენას ახდენდა.